

FS

6188


899.962.1-32

# ବୁବନ

ମୋତଶ୍ରୀଙ୍କା

ଠାଳ. ହାଉଗେଲ୍ ଏଣ୍ଟରେଜିସ୍ଟ୍ରେସନ୍


F<sub>39</sub>  
52



ଅଧିକାରୀ  
ପାତ୍ର ପରିଷଦ  
ବିଭାଗ  
ବିଭାଗ ପାତ୍ର ପରିଷଦ  
1878

8783 (1b x 11) 15.

Дозволено Цензурою.  
Тифлісъ, 2 Іюля 1878 года.



№ 1.

БЮБЛ

I



თვითი დამატების შედეგში, ღრმულების შეზღაურების შეზღაურები, ერთი პარანა ბალყონიანი სახლი იყო. ამ სახლში, სკამზე, თცლა ლით წლის უმაწვილი გაცი იჭრა, ლითი იღებეთ სტოლზე დაბჯენოდა ჩა თავი ხელებზე ქონდა დანდობილი; მოგრძო თმა, მშეკნიერათ, თითქმის მსრუბამდის გარდმოქმუნოდა. კა უმაწვილი გაცი ასე ჩაფიქრებულიყო, ამ სახლში თოვი რომ დაცულათ კერას გაიგებდა. მცირეს სან შემდეგ ამ უმაწვილმა თავი მაღლა აიღო, მშეკნიერის წაბლის ფერის თვალებიდამ, ლიმა მარტინა დატის-ოდენმა, ცეკვებმა დაუაზედ კრიკით ჩამო

უარა, ერთი გული საგლავათ ამოითხოვა და წარმოს-  
თქა: «დმიტორ, ისეთი რა შეგცოდე, რომ ასე სა-  
შინდათ ვიტანვებით».....

ასეთა ურიგო არ იქნება, რომ ვსოდეთ, ვინ იყო  
ეს უმაწვევი გაცი, რამ მიასწევინა ამ მდგომარეო-  
ბამდინ და ან რის ოსკრა და გლოვა ჰქონდა.

ამ უმაწვევის სასეღათ ალექსანდრე ერქო, ერთი  
ღალაში თავადის შვილი იყო. შვილი წლისა თბ-  
ლათ დარჩომილიყო, პატრონი ადარა ჰქონდა და  
იყო ესრეთ სოფელში, შანაშ ათის წლისა შეიძ-  
ნებოდა. მაშინ, ამის ბეჭისებ, იმ სოფელში ერთმა  
შეძლებულმა რესმა გვარათ დობრინმა, მგზავრათ  
გაიარა, ეს უმაწვილი ნასა და შალიან მოკრიანა, რად-  
გან საკვირებელი მოტივინე და დამაზრ, იყო. დობ-  
რინმა ალექსანდრეს ალერსი დაუწყო, სილი აჭამა  
და ჰქონდა: «რომ წაგიუვანო, ჩემთან, არ წამოხე-  
ლო?» უმაწვევისაც დობრინზედ ასე გული შექვერ-  
და, რაღაც დიდი სინი იყო ალერსი აღარავისაგან  
გაეგონა, რომ იმის სიტყვა არ უუკარია..... ალექსა-  
ნდრეს გულის შემატებივარი და დამშლელიც არავინა  
ჰქონდა, გარდა ერთი განაუკი ბიძა-შვილისა, რო-  
მიდიც ასე ჰქონდოს: «ვანდაბამდინაც გზა აქვა,  
ვინც უნდა წაიყვანოს, ეგ აქ აღარ მოვა და მაგის

წილი უმა და მამული მე დამტჩებათ!.... მაგრამ  
 აღექსანდრეს ერთი დაღა ჭიერიდა, რომელიც ჭიატ-  
 რონობდა და უგდიდა ამას. იმ მსახურს სახელად  
 თევდორე ერქო, სან-შესრული კაცი იყო და ამას-  
 თან საშინელი ერთგული აღექსანდრესი, რომლის  
 მამასთანაც იყა შეზრდილი. ამ თევდორემ რომ  
 გაიგო მგზავრი რუსის სიტყვა, ითიქმა: «დმიტრის  
 გურიანი, ეს ურიგო საქმე არ არისთ, მოღი ჩემი  
 ძალის შეიღის თან ვიასდები და წაკუკებით ამ  
 უცხო გაცს რუსეთშიათ, იქნება დმიტრის მიბრალის,  
 აღექსანდრე იქ გაცათ გამოვიდეს და დმიტრი, თა-  
 ვის დმიტრი, მტკის არ დააჩიგვინებსა!» — მარ-  
 თლა რომ ისეც მოადა. — დაბრინმა უმაწვილი თა-  
 ვის მსახურით თან წაიყვანა. პეტერბურღში რომ  
 მივიზნენ, პატარა აღექსანდრე სასწავლებელში მის-  
 ტა; უმაწვილმა საუცხოვოთ სწავლა დაიწყო, ასე  
 რომ, თერთმეტს წელს შემდეგ, საუბროესო ნასწავ-  
 ლი გამოვიდა.

— აქ აღექსანდრეს გზა და ბეჭი გაისხნა, მაგ-  
 რამ ერთი საწესარი უბედურება ეს შემთხვევა რომ,  
 იმისი კეთილის მეოთეელი რუსი გარდაიცვალა; აღექ-  
 სანდრემ მრავალი იტირა და თავის თავს მეორედ  
 დაღილებულსავით ჭიერავდა, რადგან დოსტინი მა-

მასავით უეკარდა. დობრინის შემდეგ, ალექსანდრე  
 ბულს გედარ იძრუნებდა და მაღ-მაღ წაკიდოდა და  
 იმის საფლავზე რამდენისამე საათის დაჭულდა. რა-  
 მოდენიმე სანი გამოსდა, კრთს დღეს ალექსანდრე  
 და თავის გადა იყდა თავის სახლში; თევდორე შე-  
 ვიდა და მოახსენა: «შენი თავის ჭირიმე, ჩემთ ალექ-  
 სანდრე, ბევრს ნუ იტერობ, რაც დაკარგეთ იმას  
 გედარ მოვაწეოთ, ასდა ჩენს ქვეუაში წაკიდეთო».  
 ალექსანდრემ მაუგო: «კარგათ ამით ჩემთ თევდო-  
 რე; მაგრამ, ასეთი გაცი დაკარგეთ, რომ, იმისი  
 ცალი ქვეუაზედ ძვირია!» თევდორემ; «კარგი  
 გაცი იყოვთ, დაქროთმა აცილვნოსთ, მაგრამ, რა კენათ,  
 შენი ჭირიმე, ქვეუაზედ. სიკვდილი წესიერიათ,  
 შენ გვირთ გარგი დედ-მამა დაგეხოცა, ასდა წაკი-  
 დეთ, იმათი სიტყვავიც ვიტიროთო». ალექსანდრემ  
 თევდორეს სიტყვა რომ მოისმინა, ასე იტეროა:  
 «ჩემი დადა მართალს ამითს, სწავლას ხომ მოვი-  
 ჩი და სამსახური იქაც შეიძლებათ». ამ დაპარავის  
 შემდეგ, რას დღეს უან, ალექსანდრე თავის დაჭილ  
 საჭიროვე მოსახურებან გაემგზავნენ და მეშვიდე კვირას  
 თავიანთ სოფელში მიგიდნენ. რაღიანარ ალექსან-  
 დრეს ბინა ჰქონდა, მდგრადისას წამოსტა და  
 მეორეს ჩლესკე ჩერ-მამის საფლავი აკურთხებინა.

## II

გაზაფხული იყო, ტემ და მინდორი ამწერდა,  
 იურინებულთ გაღობა და სტენა უკასა და გვდა  
 ატებობდა. ერთს მასის კვირა დღეს მშვენიერი და-  
 რი იყო; ქებულამანთ ბაღში დადი შეირიდობა  
 ჭრანდათ, მრავალი ქალი და ქაცი მოწვივნია და  
 ჩვენი აღექსანდრეც იქ იყო დაპატიჟებული. მაღი-  
 ან მხარეულება იყო და მასთან დეგურის თამაშო-  
 ბა: ბევრმა მშენიერმა ქალმა მშენივრათ ითამაშა,  
 შემდეგ, ერთობ ხმიანობა შეიქმნა: «ნინო ათემა-  
 შეთო; ნინო, ნინოვო!... აქ ერთი ქალი წმოდეუ-  
 ნები, პარის ფერი გაია ცო, ტანათ მაღალი და ძა-  
 ღიან წკრიალი იყო, იმისი დიდობავანი შავი თვა-  
 ლები ბრილიანტივით ნაპერწელებს : ფრენებს, მა-  
 ღალი და ცისარტუქებას: ვით მოსრიდი წარბება უხ-  
 ტებდა უცხოდ სწორე ცხვირს და ფუნთუშის ფრთუშს.  
 ეს ქალი იყო ნინო, რომელიც გამოიწიეს სათამა-  
 შოთ; რასაც წმი ნინო წინ წარმოდგა, მკლავი-  
 ნიად და მოსდენიათ გამადა და მაშინათვე ქარიშ-

ხალიგით, ერთი პირი ცქვიტად ჩამოუარა; თავი ასე ამაურ გჭირა და პირის სასეზედ ასეთი უმანკოება და სინაზე ეწერა, რომ, ყველანი უნებურა იმასდენ; «დმერთსა კუიცაგ, ანგელოზი ამაზედ უკათვსი აღარ უნდა იყოსთ!».. ალექსანდრეს, ამის მეტათ კერ ნინო არ ენახა. რამწევ ეს ქალი დაინახა, გულმა ძეგრა დაუწეო, საშინლათ ათრთოლდა და შეძლებულ ხელი იტაცა, მარტო თვალით დაუსწელდა და ასე გაუვითდა, რომ ამის ასლო მდგრამნი მიესვავნენ და ჰქიოთხსავდნენ: «ალექსანდრეს, რა დაკემართა, ავათ ხომ არა სარო?»... ალექსანდრე, მცირეს ხასს შემდეგ მოუპრუნდა თვალები, მოიფრინიტა და წიმოსთვეს: «არათუერიო, დამცაა და იმისგან არასა»...

შემდეგ აქეთ-იქით დაიწყო უკრება და კერადა იმის, ვინც იყო მიზეზი ამის გულის ადშეოთვების, მაგრამ, ნინომ ლეგური გაათვარი და ქალებში ბართა და ისინიც ფშოფშარივით გარს ქიცეკოდნენ, რაღაც უკედას საუკარელი ქალი იყო. — აქ ალექსანდრემ კრთხ უსწიოდს გაცს ჰქიოთს: «ას ქალი ვინ იყო, აქ რომ ბოლოს დროს დეკეტი ითამაშო?» იმინ ჩაიცინა და ჰქიოთს: «სომ არ გაგრძელო?... მა ქალი სალაშიძიანთ ნინოათ»... ალექსანდრემაც სამრეწ განიმურა, წესით, «სალაშიძიანთ ნინოვა»....

შემდეგ მიუბრუნდა იმავე უმაწვილს კაცს და სთხოვა, გამაცანილ. იმან უმასუსა: «უმაწვილო, ამ ქალებს როგორ გავატანთ, რომ დღე რომ იტრიანთ, ასფო კერ მიგეხარებითო: სომ ჭისებავ, რამთენი არიან და რა ვიწროობა არისო»... წევულება დაიშალა ისე, რომ ალექსანდრემ ნინო კერ გაიცნო. შეადანი წავიდნენ, წამოვიდნენ, ალექსანდრეც გამოვიდა ბადიდაშ და ოჯ ჩაღუნული შინ მოვიდა, რომ დღე არა ჭამარა და არცა სძინებია, ამიტომ რომ სასმელ-საჭმელი და მილი ფიჭვრთაც არ მოსვლია.... ამ უმაწვილს ასეთი ისარი გაჟიროდა გულში, რომ იმისი სიმწირე უგებას დაავარუებდა. ალექსანდრეს ას შექცევა პრიულ ძეირაზ დაუყოდა.....

### III

წმიდების მესამე დღე იყო, ალექსანდრე ჭეჩიშვილიდან, აქ სოლომონ საინოვარი, — ამისი კარგი მიგრიბირი და ამსახავა — უმოაეუარა, დიდხანს ურნება დაუწეუა და შემდეგ ჭიითხა: უმაწვილო, ამ აა დაგმართაა, სახიდან სულ მომლილსართა... ალექსანდრე

ფიქტიანობა დასჩემდა, ომელმაც სიბერე მოუს-  
 წრავდა. ეღანეს შეუაზედ ერთი სანუგაშო ნი-  
 ნოდა ჰუკანდა, ომელსაც შექსაროდა და ანგაიერებ-  
 და. ნინო ჩვიდმეტის წლის ქალი იყო და დედისა-  
 თვის ერთი ურჩი სიტყვა არ ეთქმა. ახლანდელს  
 ქალებს კი არა ჰუკანდა! მაგრამ, გასაკვირველიც არ  
 არის ნინოსაგან დედის მორჩილება, ამიტომ რომ,  
 დედამ, ნინო, ძველებურათ, დვთის მოუკარეობაში,  
 გაზარდა და ნინო შვიდი წლისა თბლათ დარჩა; მერვეში რომ ჩადგა, დედამ გითხვას და წერას მო-  
 აყოდა, შემდეგ ერთი დაკვანი ასწავლიდა. ჯერ  
 დავითნი გაათავა, შემდეგ სამოციქულო და სასაკება  
 ასე რომ, როდესაც სუთმეტის წლისა შეიძნა, საღ-  
 მრთო წერილი უცხოთ იცოდა, ომელმაც გულში  
 დაუჩერგა დვთის სიუკარელი და რეულის სიწმინ-  
 დე; ოჯეხსმეტის წლის რომ შეიძნა, მაშინ დედამ  
 მისცა ნება «ვეზენის ტყაოსნის» გითხვისა და ერთს  
 წერილზე ნინომ, თითქმის ზეპირად იცოდა  
 ოკითოეული ლექის; გარდა ამისა, ნინომ მრავალი  
 სხვა და სხვა საქორ წიგნები წაიკითხა და ამასთან  
 ქარგათ იცოდა, სელ-საქმე, ნარდი, ქანდრაჭა და  
 ლექტრის თამაშობა; საუცხოვო ზღილობიანი ქა-  
 ვა ჰუკანდა და ტებილი მოღაპარაკე იყო; ურ-

თის სიტუაცია, ეს ჭიდა ქართველურად კარგად იყო  
გამოიდილი და მართვილისა კი მეტი არა იცოდა  
არა, გარდა ტანცრობისა, რომელიც კიდევ უძღვო-  
და. ნინოსთან არა ადამიანს არ მოსწეონდებოდა,  
მოსუცებულსაც კი აიუთლიებდა ხოლმე და თითონ  
შეპერასავით დაუდგრომელი და ცერიდა იყო, მა-  
რამ რაგი მეჩებიდმეტე წელიწადში გადადგა, სანდის-  
ხან უნებურად ჩაფიქრდებოდა, გულს რაღაც სკვა-  
მოაწევებოდა და თითონაც არ იცოდა რა მიზეზი  
იყო, თუმცა ჩვიდმეტის წლის ქალისა, გინა გაცი-  
სათვის, ამ სხვანებაში, ამ გარი ჩაფიქრება ცხა-  
და ასახსნელი არის!....

ნინომ ფიქრს უფრო მოუმატა, მას შემდეგ რაც  
შესუდაბინო ბაღში წესულება ჰქონდათ. იქ, ნინომ,  
ადექსანდრეს ოჯახი მოჰკრა, დიდათ გაწითლდა და  
მოედმა ტანხა ქრეოლა დაუწეო; გულში კრთმა  
ტკბილოთ მწვედმა ნაპერწელმა გაუარა, რომელსაც  
ჩვენს მდაბილოს ენაზედ უხმობენ სიუკარულად. მას  
შემო, ნინოს, დღისით და საზმარები, ადექსანდრე  
სურ თვალ-წინ კდგა და ისიც არ იცოდა, რომ ეს  
უმაწვილიც იმისი მღლოცვი და მონა შექმნადია!

მაშინ, როდესაც ადექსანდრემ არაუაფის გარემ-  
ონ მესკრა დაბირა, ამ დროს ნინო მინ დაფიქ-

რეპული იქნა, წამოდგა და იმ ფანტასია დაკად  
რომელიც ეზოში გადმოსცებულოდა, ამ საექსანდრე  
კარებში შევიდა, ნინომ რომ დაი  
რაღ შექმნდა, ასე რომ აღექსანდრე მარტინი გვი  
გონიერ, მაღლა აისედა, იქ რომ ქალი არ მოჰვე, ჩემ  
გირელივათ, ერთს ალაგს შესდგა და აღარ იროდა.  
ნინოს გივილი ელენემ გერ გაიგო, თორემ ერთის  
არეულობას მოსცდენდა. აქ, ნინო რომ გონიერი  
მოვიდა, მაღლა შეწებდა, რაზედ დავიუკარებო.  
მცოლეს ხასს შემდეგ, აღექსანდრეს გადმოსძახა:  
«უმაწეოდო! გინა ბრძანდებით, ახ ვინა გნებავთო?...  
აღექსანდრემ ხმა კვლარ ამოიღო, ნინომ გიღებ გად-  
ძოსძახა: «თუ დედას კებით, მაღლა ამობომახდათო...  
აღექსანდრე, ამისმა გამგონემ, მაშინაზე გიშეზედ  
აირონა, აქ წინ ნინო მოეგია და ჭიისხა: «ვის  
კებოთ?» ამან უმასება: «ეს ხამი ლე არის, ლომა  
ბაღში მშენიერი უკავილი კნახე, რომელს შევინება  
დამის გამაგიფოსო, აქ მოვედ და შენ გასცე, ჩე-  
მი კვავილოვა!...»

ჩვენთვის რომ გაფიქროთ, ამ გვარი უმაწეოდუ-  
რი, უადგილი და უასრო სიყვარულის გამოცხადე-  
ბა, კინ ასაფის მოქალაქეს თავში და  
აღექსანდრესგანც არ მოვედოდით ასე აჩქობდა

ასე წინ დაუხედავს მცენას, მაგრამ, რამდენი  
 დღე იურ რომ აღექსანდრეს, იყიქრი და ჸაზრი  
 ჩატუდებულება აღარ ემსახურებოდნენ, და მიზეზიც  
 ეს იურ რმისა ამ გვარის ფუქსავარის მცენისა....  
 ნინომ, რა ეს გაიგონა, თავ-შირი აეტერიცა და  
 წარმოსთქვა: «არ ვიცი ვინა ბრძანდებით, ჰქონინ,  
 თუ გიცი, მხოლოდ ამასა გთხოვ, აქედამ წაბრძან-  
 დეთ და ჩვენი მშვიდობისათვის არ შეარყიოთთა; დე-  
 და-ჩემმა, რომ გაიგოს ეს ანბავი, ერთს უაფას და-  
 მაწევსო!»... ნინოს უნდოდა რომ შინ შესულიყო,  
 ამ დროს აღექსანდრემ შეუძახა: «ღმერთს გაივიცე,  
 კრთი სიტუა მომისმინეო!».. ნინო მობრუნდა და  
 წარმოსთქვა: «ბრძანეთ». აღექსანდრემ მოუგო: «ეს  
 სამი დღე არის, შენს ძებნაში გარ, შენმა სიუკარულ-  
 ში გამაგიერ, სხდა ძღიგვს გიმოვნე და შენ გაგდებას  
 მაპრულო; დამიადებელსა გფიცას, თუ შენ ნებას არ  
 გამცირ, რომ დღეში ერთხელ მაინც დაგინახო  
 ხოდმი, ჩემს თავს ჩემის სელით მოვიკლამ და ცო-  
 ლი შენი იქნებათ!»... ნინოსაც რასაკვირველია აღექ-  
 სანდრე უეგრდა მას შემდეგ, როდესაც ის ბაზმი  
 პირველათ ნახა, მაგრამ ამ მსწრაფლმა შემ-  
 თხვევამ უდგილომ და უდროოთ სიუკარულის გა-  
 მოცხადებამ ასე გასტრია და გააბრუა, რომ ფეს-

ზედ მღივსდა იდგა. რა აღექსანდრესაგან ეს სიტუაცია გაიგონა, გულმა უწევოდა დაუწეო, თავისუფასება, თვალთ დაუბნელდა და მღივსდა წარმოისთხმა: «ღმირთს გაფიცებ, უმარტვილო, წადი, წადი აქვადამ, მე შენი არა მესმისრაო»... ამ სიტუაციაზედ გაბრუნდა, კარები მღივსდა გააღო, წაჭოებას დამოდა და მდივანზედ მძესვენა. აქ აღექსანდრე გაშტკრებული დარჩა, რამდენსამე სანს იდგა, მოდის, ნახა რომ გვერდით აღარავინ უდგას, შებლზე სელი იტაცა გამოატენდა, კიბეზედ მარდათ ჩამოირბინა და გივივით, სირბილით შინისვენ გამოსწია...

იმ დამეს, არც ნინოს და არც აღექსანდრეს მაღა არ მოსკლიათ.

მეორე დღემაც ფიქრში და ოსვრაში განვდღო, რაინდეს მხრით; მესამეს დღეს აღექსანდრემ გეღარ მოითმინა, გაუკუთხებისაკენ წამოვიდა და საღამისანთ სახეს რომ მოასლოვდა, ფინჯანების უურება დაუწეო, ამ დროს ნინო, ქუჩის მხარეს, ფინჯანში იყდა; აღექსანდრე რომ დაინასა, ძალან იამა, ადგა და ბაღში ჩამოირბინა; აღექსანდრემ იყვიწოდა, ნინომ კიდევ თავი მომარიდათ, მაგრამ, რა რაგათ გაისარა, როგორც ნინო დაბლა დაისახა, აღექსანდრე მაშინათვე ბაღჩას მიუასლოვდა და სოსოცა

ნინოს ნების დართვა ბაღში შესვლის... ნინომ ჰქოის: «რომელი ნაცნობობა გამდევთ მაგ სიმართლესათ?» — ბლექსანდრემ მიუგო: — «მე ბუჩქის გემონზალებით; გული შენგან მოილტვის და კასაცის: ადამიანებისთ... ჩემია და გონიერია გი გულის მონანი შექნალანო და აღარ მეფობებით... ამ სიტუაციის შემდეგ ბაღჩაში გადიჭრა, რაღაც გაშმაგებულს ჰგვიდა, უნდოდა ნინოს მოხკევოდა, მაგრამ ნინომ ეს თავისუფლება შორს დაიჭირა, რადგან ნინოს ჟერა არ დაკისებოდა სიკარულისაგან.... ალექსანდრემ იფიქრა ნახვაც რომ მაღირსა, ჩემთვის ქაც ბეჭით, ამ იფიქრის შემდეგ წილმოსოფელი: «ეს, მშენიერო! დღესაც რომ გუშინდედოვით მომავალობოდი, არ გაცი ჩემს თავს რას უზამდიო!!» ნინომ გაიღიძილა და უბასება: «გუშინ მე თითონ არ კიცოდი, ჩემს თავს რა ამბავი ცეკვო, მაგრამ, მე გხერძე, მრიენ ჩემისუბულებარო... ალექსანდრემ წილმოსოფელი: «ჩემა მომენტ, რამდენიმე სიტუაცია მსურს გადმოცეო». — ნინომ: «აქ არავინ დაგვინახოსთ, უამონაძენდით, იქით დაკისხევთ სადმიერა... მახლობლად, კვრდაზედ, ალუბლები იდგა, მივიღებ ნინო რა ალ გენდრე და იქ, მწვანეზედ, დასლენ, კათანენის კინაბაზა და ამბავი გამოიყოთეს. შემდეგ

აღემსანდრევ წარმოსოთქვა: «ჩემთვ სიცოცხლეებ, რაც  
უნ გრძელება, მას აქვთ ჩემი ფიქრი და ცხოვრება უნ  
შემთხვევაში. ეს კი არ ვიცი, შენი გული რადას  
გულისათ?»... ნინომ მიუკი: «მე ჩემს დღეში არ  
მოვითვიქონდი, თუ ისეთი ქაცი გამოახადებოდა,  
რომ მე შემიუვარდებოდა, ჩემს გულს დედის საუ-  
კარგის მეტი არა აჩვროდებდარა».... ამ სიტ-  
უის შემდეგ, ნინო საშანდათ გაწითლდა, რომ  
ცრემლი გადმოვარდა და ასე სოთქვა: «ერთი დღე  
იყო.... ჩრ ვიცი, ის დღე უნდა გრძელო, თუ კლო-  
ცო.... ამ დღემ გულს ერთი დღი დამახო, რომ-  
დის მოიხსნა, არ კი არ შეუძლიან, გარდა ერთი  
უმარტვილი ქაცისათ».... აქ ნინომ დაპარაგი გაწევი-  
ტა და ოკელებზე სედი დაითვარა.. აღემსანდრევ,  
ამის გამგონე, საშინდად შეშინდა და აჩვარებით  
ჰქითხა: «ვინ არის ის უმარტვილი ქაციო?»... ნინომ  
ერთი გულის საჭლაჭად ამოითხოვა და წარმოსოთქვა:  
«შენიო!».... ამ სიტუაციებ აღემსანდრეს ასეთი  
სამოვნების ზარი დაიცა, რომ კისედრომ თვალთ არ  
დაუბინედდა.... ნინოს ს და გადახვის და ასე ტები-  
ლათ დატებუნა, რომ ლოთავი, ელესაებო გულში  
დაუარა და გადავიწყდათ, შევენა არის საღმი, თუ  
არა!.. ამ დროს ნინოს თვალებში ასეთი ციცხვი

ეგზენა, რომ მრავალის ადამიანის კულ შესწიდა...  
 შემდეგ ამ მოუღოდეს ელის და შავარის თაგისუფა-  
 ლის, მარამ აღეჭანდოესაგან უმაღლესის გრძნობის  
 ნიშნის ქცევისა, ნინომ წარმოასთესა: «აღეჭანდოეს,  
 ასე უნდა იცოდე, მე დედის ჩემის ასეთი შიში და  
 კრძალება მაქვს და ასეთი სიუკარული, რომ ეს ამბავი  
 იმან რომ შაიტეას, გრონებ, ჩემის ხელით თავი მო-  
 კიდათ და ამასაც გიტეა: ჯერ ქვეუჩაზედ ადამი-  
 ანი არ გამოასულა, რომ ჩემს ლოუას მოჰკარებოდე-  
 სო და ეს მსხვერპლიც შენ შემოგწირეთ!»... შემ-  
 დეგ და უმატა: «სიუკარულმა დამბლია და ეს თავის  
 უფლება გამაბედვინათ». ამ სიტუაზედ წამოდგა და  
 უთხრდა: «მშვიდობით, ხვალამდისათ!»... აქ ერთმა-  
 ნეთს გამოესალმნენ და თავ-თავის ადაგის წაკიდნენ.

თაღა გავაგრძელოთ,— ნინო და აღეჭანდოე, უთ-  
 მო ღღე ერთმანეთს ნახვიდნენ სოლმე ბალჩაშია...  
 ერთს ღღეს აღეჭანდოემ ჭირთხა ნინოს: «როდემ-  
 დის უნდა ესე უმაწვილურათ გიმაღლოთო? მოდი  
 დადა-შენს ქაცის მიუგზავნი, რომ შენი თავი მომ-  
 ცესო». ნინომ: «მაგას ნუ იქ, შენი ჭირიმე,  
 თორემ, ღერა გამიგავრდებათ... აღეჭანდოეს  
 საშინდათ გაეცინა, ნინოს უმაწვილურს სიტუაზედ  
 და წარმოასთესა: «აქ გასაჭავრებელი არა არის, ერთ-

ხელ ხემ უნდა გაგათხოვთსა?»... ნინომ კიდევ  
უშასეუბა: «არა, დედა მე არ მომიშორებსთ»... ალექ-  
სანდრემ: «მაში თათონ, როდესც გათხოვდა, დედ-  
მამას არ მოშორდათ?»...

ალექსანდრე ცხრათ ჭიედავდა, რომ ნინო ამ გა-  
რის დაშორავისათვის, ჯერ ყმაწვილია ცუკ; მცირეს  
ფიქრის შემდეგა სოჭება: «ნინო, შენ, თღონდ, ჩემ-  
ზე საფრთხელს ნუ შესცემი და სხვისა მე ვიციო».

მართლათ, რამდენსამე დღეს უგან, ალექსანდრემ  
ერთია თავის მამის მეგობარი, ფრიდონ რბილაძე,  
დარბაისელი თავადი-შვილი, მიუგზავნა ელენესა და  
ქალი სოხოვა. რა ელენემ ფრიდონის დაპარაკი მო-  
ისმინა, დაფიქტდა და შეძლებ წენარად წარმოსოჭება:  
«ბრძანებ, ბატონო, დაად უცხო სწავლელს უმაწ-  
ვილს აქვენ, მაგრამ, სწორე მოგახსენო, ჯერ არის  
და ღარიბია, მერმე გამოჩენილი გვარი არა აქვს...  
მერცხადამე სად გაგიგონია, მამი შენის მზეს, გა-  
მოჩენილის თავადითოთ?»... ეს უკანასკნელი სიცემა  
ეწეონა ფრიდონის და წარმოსოჭება: «უკაცროთ გი  
ნუ გახდებით, რომ ცოტა თავის უულათ ვიღ-  
მორავო, რადგან ნიოდიები ვართ და შენის ოჯახის  
ბეჭნიერება მინდა... არა! შე კურთხეული-შეაღმი,  
ოქენის გვარში ხემ თათო სულელი არ დაიღუპა! მაგას

როგორ ბძანები, მეოცხსლამიანი გამოჩენილი თავა-  
 ზნი არ არანია?... ცხონებული სულხანი იყო — ადექ-  
 ხანდოები შაშა—და პირველი კარას კაცი იყო,  
 თუ მეტესთან ნამსახური და ჩინებული საქართვე-  
 ლოში, შვილი ეგ არას და ახლანდელის დროის მა-  
 ხელვათ, კარგი სწავლულია, და თუ ამას ბორბანები,  
 რომ ბევრი ფუტი არა აქვსთ, — მე და შენ რადა  
 ხაზინა გვიპორუნამს?... კრთი მისმანი, კირთხეული  
 მამაშენის თევზდოოებს მზესა!» ელენე დადგხანს დაივიტ-  
 რებული იჯდა და შემდგაბ უპასუსა: «მართალია,  
 ჩემგან თავადი-შეიღს ქალი კა არ დაეჭირება, მაგ-  
 რომ დაღონება ეს არის, რომ გუშინაც მოციქული  
 მომიკიდა და ური კელარ უთხარი და ახლა ჩემს  
 სიციურას არაოდეს არ შეიცვლით». ფრიდონმა: «გუ-  
 შინ სხეულ კაცი გამომიგზავნა, დღეს მე ნიშანს მო-  
 გაროთმაც და საჭმე გადაგწევიტოთო». ელენემ ძალი-  
 ან შოთას დაიგირა ეს სიცევა, ასე რომ, ფრიდონ  
 გაცეცხლდა და შეგმახა: «კარგია, ნათლი-დებატ,  
 ხულარ სწერები, საჭირო არ არის შენი გომბით  
 ქალი, გნახავ, გისაც უგროესს მისცემო». ელენემ აე-  
 სიციურაზე საშინდად შეძევიონა: «უი, შენ ჩემთ  
 თავი! ჩემი ნიხევა, გაუბარ რათ იქმებარია აქ ფრი-  
 დონ გარეთ გამოვიდა და კარები ძალას მიაჩარც-

სა გაფავრებულმა. ედენიშ მოავალი უშვერი სიტყვები  
მიაუღდა უკან....

ფრიდონ ამ შემთხვევით, ასე გრიცებული იყო,  
დამს რომ შესწავლიდა, ასე არ შექმოუდა,  
ორგორც პატარა გომიას...

რა შინ მოვიდა, როი დღე გარში აღარ გამო-  
სუდა, და არც ალექსანდრეს შეტყობინა ეს ამბავი,  
რადგან იმას ძალას შეაწებდა.

ელქემაც ივგაქრა: «ფრიდონ ერთი ხეთაბადა ქ-  
ცია, საქმე არა გადამირიოსოდა, ისევ სჭრის ნი-  
ნოს საქმეს შეუდგე». იმავ დღესკე ქვრივი ელისა-  
ნედა დაიბრა და მოციქულათ გაზიარა დეკან გორ-  
დაქათან, რომელც კარგის გვარის კაცის შეიღი  
უა და დიდის უმა და მამულის პატრიარქი, მართ  
სამინიდა მხეცი და გარეუნიდა... ელქე დიდს ქაცო-  
ნას და სიმდიდრეს ექიმდა და საქმეც გაურიგდა,  
ასე რომ, თუ დღეს უკან ქორწილის თაღარიგს შე-  
უდგა და მაღანაც დააშურა.

ნინეცას გათხოვების სის, მოედს ქაღაქში მო-  
იანია, მაგრამ ჯერ ალექსანდრეს არ შეაუა, რო-  
მედიც ასე ფიქროდა: «უთუთ ფრიდონ ჯერ სამ-  
ძაძიანოსა არა უაფერდა, თორუემ აქამდინ ამბავს  
შემატყობინებინებდათ». ამ მიზზით ალექსანდრე  
ბრდ დანწათ იყო. ერთს დღეს, დაღით; შეჩერდა

მოდიოდა. აქ თავის მეგობარი სოლომონ სიინტევი  
შემოეუჯოა და შორიდამკე შემოსძახა: ასაღი ამბავი  
არ გაგიგიაო, ნინო ოომ ჯვარს იწერსო?... აღექ-  
სანდრემ განცემურებით ჭკითხა: «როგორ ჯვარს  
იწერსო?» სოლომონმა გაიცინა და უპასუხის: «არ  
იცი, ქალი ჯვარს როგორ დაიწერსო?.... ა თუ გინ-  
და ხვალ წავიდეთ და ჯვარის წერას უუწოდოთ».  
აღექსანდრემ გიდევა ანქარებით ჭკით ხა: «ვისზედ იწერს  
ჯვარსა, რატომ მე არ ვიციო?» სოლომონმა უპა-  
სუხა: «ამ ტომ არ იცი, რომ ჯერ მოწევებრი არ  
მოგვსვლიაო, და სწორე გითხოვა, ღერეს გორდაძე  
ბეჭნიერი უმაწვილი გაცი არის, რომ იმისთვის ქადა  
ირთავსოა. ამ სიტყვაზედ აღექსანდრეს თავბრუ-  
ლავსხა, მუხლები მოუშენა, გადაქცევას ღამოდა... ამ  
ამის გამგონება, მესი რომ დასცემოდა, ის ერჩივ-  
ნა, მაგრამ აღექსანდრეს არ უნდოდა სისუსტე გა-  
მოქმინა; თავი შეიმაგრა და ძლიერსღა წემოიბუტბუ-  
ტა: «მშევდობით, სოლომონ, არა მცხადანოვა და  
აჩქრებელი და გულ მოწევეტილი ფრიდონისაკენ  
წავიდა. აქ კარებთან ფრიდონის ბიჭი დაჭიხდა,  
აღექსანდრემ ჭკითხა: «აატონი შინაბრძანდებათ?»  
ბიჭმა მოახსენა: «აქ არ გახდავთო». აღექსანდრემ:  
«ამ სადაციო, სალამაძიანთსა ხომ არ წაბრძანდათ?»

ბიჭმა გადეს მოახსენა: «ბატონი სალმაძიანისა გუ-  
შინას წინ ბრძანდესთდა, იქიდგან განაცილებული მობ-  
რძანდა, თუმ დღე შინიდამ კარში არ გამობრძანე-  
ბულა და დღეს დილით სოფელში წაბრძანდა». —  
ალექსანდრემ ახდაღა დაარწმუნა გული ნინოს გათ-  
ხოვებაზედ და მიხვდა ყოვლის ფერს. აქედან, გამ-  
წარებულა შინ მოვიდა და დავანზე დაცი, კურ უმაწ-  
ვილივით მრავალი იტია, შემდეგ წმოვდა, სტოლს  
და ქაინა და მაღ-მაღ თხრავდა... ესლა იმ მდგრმა-  
რეობაში იურ ალექსანდრე, როდესაც პირველათ ჩვენ  
გავიცანთ, ამ ამბის დასაწყისში და როდესაც გამ-  
წარებულმა წარმოსოთქა: «დმკრთო, ისეთი რა შეგ-  
ოდე, რომ ასე საშინლად კირანჯებია!».....

## IV

ალექსანდრე რომ ამ უთვეში იურ, იმ დროს  
თევზორე შემოვიდა, ბატონი რომ შეწესებული და  
მოტირები დაინახა, თავი გაიქნია და წარმოსოთქა:  
«რა არის ალექსანდრე, შენს გაზრდას, რატომ არ  
შემატებინებ?.... ეს რამდენიმე დღე არის, სუს  
ჩანახებული ჩადისარ და ესლა მომტორება გხე-

დავ!.. მამის შენის საფლავის მზემა, თუ არ გამ-  
ხიარედდები, ან არ შეძალებინებ, რა გაჭირვება  
გაქას, ჩემს თავს ერთს რასმე აუტეხ.... ამ მოსუ-  
ცებულს, ნუ ამაღლებო!».... ალექსანდრემ რომ  
თევდორეს სიტყვები მოისმინა, უპასუხა: «ჩემასთანა  
უძრავური გაცი, გვიანები, მიეკაზარდ არ აყოსო»....  
თევდორემ: «რა ამშავია?» ალექსანდრემ მიუგო:  
«ეს და რაღა გსოვნა, როცა უპარა დ იგარებო!....  
მაგრამ ერთი უძრა გაისარვოა: შატარა ბარათს გა-  
კატან, გარეთ უანის გადი, იქ საღმამართ სახლი  
იყითხვ და ის ბარათი გოგოს მიეცი, რომ თავის  
ბატონის შეიდეს ნინოს მართლისო, სხვა არავის  
მისცესო. თევდორემ კიდევ თავი გამარა.... მიწა-  
ვდა რაც ამიავი იუთ და მოახსნა: «ჩემ დროულმა  
კაცმა ჭაღვებთან ბარათები არ უნდა ატაროსო, მაგ-  
რამ შენის გულისხთვის თუნდა ჯანდაბას წავალო!!»....  
აქ ალექსანდრე დაჭდა და ნინოს წიგნი მისწერა.  
მა წიგნში ასე ეწერა:

### სულზე უტებესო ნინო!

არ ვიცი ვინ გამომიქნა ული და ასე უა-  
როვოთ საფლავი ვინ მომითხარ ?!.... ნატავი შინ-  
გელათვე უარი გეოჭო ჩემოვის და ან შენის სელით

მოგექალ, მე ის მეტჩივნა!.... მაშინ მეცადინებოდა: ვისგანა გვლები! ასედა ერთი სათხოვარიდა დამ-  
 ტომია: ხასეჭარი სათი დროება მაჩუქე, შენთან სა-  
 ლუპარია მაქს.

შენ ალექსანდრე.

ალექსანდრე ეს პარათი დაბუჭიდა, თევდორეს  
 მისცა და გაიტუმოს. ხასეჭარ სათის უკან გულ-  
 მა ვეღარ გაუძლო, თითონაც სალმამიანთვენ გას-  
 წია... თევდორეს მოუწია და უკან დააბრუნა. თითონ  
 სალმამიანთ ბალჩას მაუხლოვდა და დაინახა, რომ ნი-  
 ნო ერთ სეს ჭიერა ზის; მაშინთვე ღობეზედ გადვიდა  
 და შორიდამვე შესძხის: «ნინო, ეს რა გავიგონები;  
 არ გამოალები? — რატომ არ ჩემქოდამო!».... ნი-  
 ნომ, რა ალექსანდრეს ხმა გაიგონა, ფეხზედ წ-  
 მოვარდა, ამისაკენ გამოიწრია, გადაეხვია, გეღზედ  
 თავი დატანდა და ტირილი შექმნა.— ამათი ნასკა ერ-  
 თი საცოდაობა იყო; — თოთავეს გულები ამოუქდით,  
 ერთი იძახდა: «ნინო!»... მეორე გულის საკლავათ წარ-  
 მოსითქვამდა: «ალექსანდრე!»... ამ სასელების მუტი  
 ათა ისმოდარა... რაკი ტირილი და წუწუნი გაათა-  
 ვდა, მაშინ ალექსანდრემ წარმოსიქა: «ნინო, მე  
 მეტი კედარა მოძიფიქებარა, მოდი, ამაღამ გა-  
 გაპარებ, ცოტა ხანს მოვკეთებარეთ საღმე სოფე დამა,

კუარიდ დაკიიწეოთ და შემდეგ ისევ შენს დედასთან  
მოვიდეთო». ნინომ უპასუხა: «დედა რომ არა მეუან-  
დეს, მაშინ ადგილი იყოვო, მაგრამ, მაგ საჭმეს,  
რასაც შენ ამიღაბ, რასაც წამს დედა შეიტუობს მა-  
შინათვე, სულიც გასცევია, და ან რა ხეითს კნახავთ,  
რომ ადამიანის სიგვილიდში ჩეგდეთო»... ალექსან-  
დრემ: «მაშ საუდარში, როცა კავრის წერას შეუდ-  
ბენ, უარი სთქვით»... ნინო ძევლებურათ გაზდი-  
ლი ქალი იყო; ამისმა გამგონემ წარმოსთქა: «მე  
ადრევაც გითხარ, — დედის ჩემის ისეთი შიში და  
სიკვარული მაქს, რომ იმისს ბრძანებას მე უარს  
ვერა გვითვო; ამას გარდა, უარი რომ ესთქა, ჰე-  
ჭანა რაღას, იტრევისო, უბათ ამომიღებენთ»... ალექ-  
სანდრემ: «ქვეყანამ რაც უნდა იღიაშარებოს, თუ ქა  
ჩვენ ბედნიერები ვიქნებითო»... ნინომ ამოიარანდ  
და სოჭა: ჟერ, ალექსანდრე! ქალის ფარ-ხმალი—  
სახელი და ხამუსი არის, თუ ესენი წმინდათ არ  
დაკიცეთ, იცოდე ჩემი ცხოვრება ამით და შესაბ-  
რალისი იქნებათ!»... ალექსანდრემ მკაცრათ და მწა-  
რეთ მიუგო: «მე აქ ამისათვის არ მოგენერარო,  
რომ ქალაგება მოვისმინოვო»... ამ სიტრეაზე გა-  
რუნდა და წასკდა დაპირა... ნინომ შეუძახა: «ალექ-  
სანდრე, დმიტრის გაფიცებ, აქ დაბრუნდით!»... ალექ-

სანდრე მოსწონდა და უთხრა: «მშვენიერო, მე კეკ-  
 დაშა, შენი სიყვარული, სულ სიცორეა უაფილათ!»...  
 ნინომ მწარის დიმილით წარმოსთხვა: «ჰეი, საუკა-  
 რელო! მე ჩემი თავი და ნამუსი ძვირათ დამიტა-  
 სებია; ჩემს ტუჩბზედ და ლოუებზედ, პირველათ  
 შენმა ტუჩებმა იტკანურეს; ესლაც მგრძი, ჩემმა  
 ცრემლებმა დაგისცელეს და შენ კი იმახი, არ გიუ-  
 კარყარო!... რომელი თავდაცული ქალი გაბედავდა  
 ამ წინდაუხედაობას, როგორც მე მოვიშეცი და უც-  
 ნობს კაცს ნება მოგეც აღერსისა, თუ არ შეუკარე-  
 ბელი და ჭერა დაბინეული.... ერთი ბეწო წესიგრე-  
 ბა, ზღილობა და მორიდებაც არ გიქონიე ამ შემ-  
 თხვევაში და შენ კი საუკედურებს მთავაზობ... გა-  
 ნა?... მაგრამ დირსა კარ უკელათრისა!».... აქ ნი-  
 ნოს გული ამოუკადა და ტირილი დაიწეო... პლექ-  
 სანდრემ ნახა, რომ ნინო ჭეშმარიტს დაპარაკობს,  
 სკლი გამოართო და უთხრა: «მაშ მშვიდობით, ჩე-  
 მო ნინო! მე კეკდავ, რომ ამ ჭერანაზედ მე აღარ  
 მეცხოველებო, — რიღს მუშავი ვარ?.... მშვიდო-  
 ბით, ჩემო ნინო, და გახსოვდეს, რომ ერთი კაცი  
 იყო ჭერანაზედ, რომელმაც სიყვარულიც და თავიც  
 შემოგწირა.... იყვა მშვიდობით და უფაღსა კსოვე,  
 სხვასთან უფრო ბედნიერი იყო... ნინომ, რა კა

მწარე სიტუაცია გაიგონა, მაშინათ ე მიქვედა, რომ  
 ამართ არ იყო ნათელად და შეუძლება: «თუ უნს  
 თავს აუტ ს რასმი, მეც ჩემს თავს არ დაკიშურებო  
 და იცოდე, ორი საშინელი ცოდნა თავს დაგეღე-  
 ბაო!.... ხარცხვილი არ არი აგრე სულ მოკლეო-  
 ბა?... ჩვენ უნდა ვიცოცხებოთ და ერთმანეთს ვა-  
 ნებებებებებოთ... აღექმანდობ მიუგო: «ვერა ნუ-  
 ბები, მე გულს ვეღარ მომიტირებებსთა, ნინომ წარ-  
 მოსთვება: «მაშ მე რაღა უნდა კმია, რომ ჩემმა ბე-  
 ჭმა ეს მწარე საღვღა დამზადინათ? — შენ ვიდევ  
 უმაწებილი გაცი ხარ, ერთს თბეს შემდეგ დაგავიწყ-  
 ები, სხვას უკეთეს ჭიათუა, შეიყვარებ და გააბეჭ-  
 ნიერებ, მაგრამ, ვინ იცის, მოითმინე, ბედი ჩარხია,  
 აქება რა დათვებას შევესწორათ?... თუ საჭაოს არა,  
 საიჭიოს უკეთეს ძველება არისო!»... ამ დროს ფან-  
 ჯირიდამ სხა გამოსდა: «ნინო, ნინო! საღა ხარო!»...  
 ნინომ რომ ეს სხა გაიგო, წრმოსთვება: «უი, დე-  
 და მემასხოთ და იმ სიტუაციდ აღექმანდობს ხე-  
 ლი გამოსროთ და უთხრა; იმშვიდობით, აღექმან-  
 დო და გასხვიდეს მენი ნინო...».... ასე სოჭვა და  
 პრინცეს გაიცი. აქ აღექმანდობ გაბრევებულივით,  
 მარტო დარჩა, მემღებ ესეც გრძობრუნდა და თავ  
 ჩილუწელი და გულ მოკლელი შინათვენ წამოვიდა.

ამ დროს, ფანჯრებიდამ გიღაც უმაწვილებმა დაუძახეს; «აღექსანდრე, აქ ამოდით!» ამას არავისი არა ესმოდა რა. იმათ მაინც არ დაიშალეს. ერთი უმაწვილები გაცი ფანჯარაში თითქმის ნახევრობამდის გადმოეკიდა და დაუსისა: «ტერ, ქართველო, ბიჭი! რას დაღგულობ, რატომ არ გვეადრელობო!» აღექსანდრემ მაღლა აიხედა და სოლომონ საინოვი და სხვანი თავის მეგობრები იცნა, ორმედნიც სედა უშნებდნენ. მეტი ღონე აღარ იყო, იმათთან გვიდა. ისინი გარებში მოეგებნენ. ერთმა შეუძისა: «რა დაგვარგავს, რომ დედამიწას ჩასცემოდით?» მეორემ წარმოსოდეს: «თუ ვარსკვლავთ მრიცხველი ხარ, ზეცას უნდა იუდიდებოდეთ». მესამემ ჭიროსა: «ხვალ ჭარწილში არა ხარ დაპატიჟებულით?.. ამ უმაწვილებმა არ იცოდნენ აღექსანდრეს გულში, რა გარამი ტრიადებდა. ამან უბასესა: «ოქენე მემართ, მე ხვალ სოფელში მივდივარო, ბიძა-შვილი აკათ გამხდომით». უმაწვილებმა ერთობ წარმოსოდეს: «რას ამით, უშენოთ დაზათი არა გვაქვსო, დამაზი ნინოს ჭარწილში სულ ცესრილით წესლი» უნდა კიბლითოდა....

— აღექსანდრემ ნახა რომ ეს ხელი ცოტა ზარსომათ იყო, იფიქრ: «აქ ჩემი საჭმე არ არისო: რა

დაგვარებე და რას გეძებო». როგორც იყო, ამათ  
თავი დაასწია, შინ წავიდა და თევდორეს უთხრა:  
«ორი ცხენი იშვინე, ხვალ სოფელში უნდა წავიდე-  
თო; ეს ქალაქი საშინაოთ შემძაგდათ». თევდორეს  
ეს ამბავი ძალიან იამა, იტიქრა: «ჩემი ბატონი იქ  
გვდა გართობსთა და ცხენების თადარიგს შეუდგა.  
მეორეს დღეს დილით აღრე ბატონ-უმათ სოფელის-  
პენ გასწიოს.

## V

იქნება ზოგთა სოჭან, რომ თუ პლესნ-  
დებეს ისე ძრიელ უკარდა ნინო, რატომ უოკელი  
თავის ღონის ძიება და საშუალება არ მოიხმარა,  
რატომ ბოლომდის არ იძრილდა, რომ ნინო შეკ-  
ოვა. მაგრამ პლესნდებე, რადგან არ იყო იმ  
კაცებთაგანი, რომელთაც ხსიათი და განუსაკეთი  
ფიქრი დაემონება უისა და გრძნობასა, ამასთან  
პლესნდებეს დას ქარგად ჰქონდა გაგონებული და  
გაცნობილი ნინოს დედის ეღვენეს ჭიშრი სასიკოთი  
და ნინოს მტკიცე და შეურევული სიტუაცია და მორ-

ჩილება დედისადმი, რომ ამის წინააღმდეგი საშუალება გვიქცებინა რამე, ამისათვის თავის თავი უკანირა ამგვარის ბედის განკარგულებას!.... აღქმანდრემ კსეც იფიქრა: «მე რომ ამ განწირულებაში უმარტვილური რამ მოვიქმედო, ქადაგის ჭრის კედარ ამოუადო და უმკობესია ჩემმა სკელმა მეც დამსაჯოსო, კიდოკ სალხის სასაცილო და სალაპარაგო შეგაშეც და ან ნინოზედ კადაპარაკო კინძეო და ეს რომ კაცოდე, ბოლო ჩემი სასარგელო იქნება, მაშინ სხვა რიგათ მოვიქცეოდო!....

აქ იფიქრი გასწევისა და მცირე სას შემდებრაოსთვეა: თუ კა ნერიცება იქნებოდათ... მაგრამ.... აქ ალექსანდრემ სილუკა აღარ შეასრულა, თვალები და ხუჭა, რამდენიმე ცრემდები გადმოუკარა, შემდეგ გვილი მოიბრუნა, გეთილმა ფიგრმა უინი და სიუკარული დასძლია; აქ განიზრახა რომ მცირეს სას თავი მოარიდოს სადმე და ამ აზრით სოფლისაკენ წარემართა.

ნინომ, რასაკუირკელია, ალექსანდრეს ქადაქიდან გასცემა არ იცოდა; იფრა თავის როახში და გუშინდედა დაპარაკებ მოიგონებდა, ამასთან განსჯიდა თავის გარემოებასა და ფიგრობდა შემდგებისათვას, თუ რა ცხოვრება განემზადებინა სმისათვის ბედსა.

ასეც ცხადათ იცოდა, რომ დედის უახლოს და უახლოს თქმა არ შეიძლებოდა ამისაგან... ნინო, რამდენიც მომეტებულს ფიქრში შედიოდა, იმდენი, უმეტესად ადგესანდრეს სიყვარული განუსილიერდებოდა და უღრღნიდა გულსა... ბოლოს, ამ ტებილს ტენუაში წარმოსათქმა: «ჰეი, ადგესანდრე, ადგესანდრე! ეს რა ცეცხლში ჩამაგდე! ის დღე დაიწევა, რასაც დღეს მე შენ პარველად განახოთ!»... ეკცერივ ალექსანდრე რომ შემოსულიყო საიომე, ნინო გარდა ესვევთდა და პტიუოდა: «წამო ალექსანდრე, გადგინებულები სადმე, ოღონდ ჩენ კრიმინეოს არ მოკრძოლეთოს... ამ დროს შეცრივ გარები გაედო და ნინოს დედა ეღუნე შემოვიდა ოთახში. ეღუნემ რომ თვის ჭაღი დაღონებული დაინახა, წარმოსათქმა: «შეიძო, რატომ აგრე ხარ, ჯე მარტო რას უზიან... ეს რამდენიმე ხენია, შენ სკოდანსა გხედან, ხომ არა გრეგორია?»... ნინომ მოასესენა: «არა დედას მზები, მე არაივერი.... ისე რაღაც დაკუიჭრდოთ... ეღუნემ განაგრძელდა: «შეიძო, რატომ სწორებ არ მეტევი, თუ გრეგორია რამე, ცოტა კარგი გახდი... მაგრამ, მეც რომ შენი ხნისა ვიყავი, აგრე სკოდანობა დაშემდა, მანამ გაუგასოვებოდით... ასა, შეიძო, ხომ იცი შენი ბეჭნიერება ჩინდა, —

შენს თავია მთხოვენ და სიტუაც მიკეცი, რადგან  
კიციდი რომ დედის მორჩილი სარ და უას არ  
იტეოდი.... ლეპან გორდება, შენი საჭრო, უცხო  
შვილია და ეხდა ამისთვის შემოვედი, რომ შენც  
დაგეკითხვოთ!»...

ელენებ რა იცოდა, იმის ქაღის გუჯში რა  
დარდი ტრიალებდა. ნინომ რომ დედის სიტუაციი  
მოისმინა, არ იყო რომ გუჯი არ აუჩერთლდა და  
არ იცოდა რა ეთქო,—ბეწვზედ ეკიდა ამის საჭმე,  
მაგრამ უარის თქმა ძნელი იყო ნინოსაგან, ამის-  
თვისაც წარმოსთქვა: «დედას ჭირიმე! მე რა უარი  
შემიძლიან, თუ თქვენი ხება გასძლავთ?..... მაგრამ  
რომ არ გამათხოვთ, უმჯობესი იქნებათ... ელე-  
ნებ, ამისმა გამგონებ, შესტუკია: «უა, ჩემს თავია!  
რას ამბობ, შეიძო, — მე რა აგრე ბეკრი შეიაღების  
შეტყობინი გარ, რომ შენთვისაც არ ვიზრებოთ?!

არა გენაციებოს დედა! დედის-ერთას შინ კირ და-  
ტაბერებო!»... ნინომ მიუგო: «მე თქვენი მოშორე-  
ბა არ მინდათ. ელენებ: «მაგას ვის გირჩევსო?  
ქმრი შეითოვ და ორივ ჩემთან იყავითოდ. — ნი-  
ნოს, უოვებს მხრით მოურილი ჭირხდა გზა. ელ-  
ენებ, რა ჭაღა ადგილათ დაიმორჩილა, თვის სიძეები  
გორდებას, ხელ-ახლათ, კაცი გაუბატანა და ქორ-  
წილს დაემურა.

# VI

ჩექინ ვიცით რომ ნინთს საქორმოთ იუთ ამორ-  
ჩეული ღევან გორდაძე, მაგრამ ღირსი იუთ, თუ  
არა ლამაზი ნინასი, ჰქონდა თუ არა განათლება,  
ან ტეთილნი თვისებანი — არ ვუწიოთ.

ღევან სიურმითკე თბოლი დარჩომილიყო და მო-  
ხულეული მამიდა ზდიდა და მეტათ ანებიცეცდა.  
ღევან თუმცა სასწავლებელში იუთ მიცემული, მაგ-  
რამ იქიდან ვერა გამოიტანა: სხვანი, ამისი ტო-  
ლები რომ წიგხეს კითხულოდნენ, ეს სალამურს უკ-  
რავდა, სხვანი რომ თავისუფლათ იუპჩინ და ეკვლე-  
ბაში წაგიდოდნენ, ეს კოჭებს შეამცეოდა და ჭა-  
რილდებოს ფრიალოს ათამაშებდა.—ბოლოს თევზემუ-  
რის წეისა შეიქნა, კითხვა ძლიერს ისწავლა; ერთს  
დღეს, ისტატის სცემა და მამინ იმაზე გადასცეს  
და სასწავლებლიდან: ც ჩაითხოვეს. ღევანის გამოგ-  
რება სასწავლებლიდამ, მალაზ იწყინა ამისმა მამი-  
ნამ და უნდოდა ეზიგდა, მაგრამ სხვებმა დაუმ-  
დეს. — შემდეგ ამისა, ადგა და ღევანის უთხრა: იმჯო-

ლო, უმა და მამული გიორგება, შენ დიაკონათ  
 ხომ არ მინდისარ, იმათი აჩა-ბაჩა რას გარგებს.  
 წადი შენს მამულს მოუარეო!» — დეკანისაც ეს უნ-  
 დოდა.... თავის თავი რომ მებატონეთ და თავი-  
 სუფლათ დაინახა, სისარულით ფეხზე კეღა დადგა;  
 მაშინათვე სოფელში წავიდა, კურ იქ, ქარგა ხანი,  
 გურდღლებსა სდია. რა ეს შექცევა მოსწყინდა.  
 ბლეს გაცის ფული შეაწერა და ჭაღაჭმი ჩამოვიდა.  
 ჯე მიწერ ხელი და «საცა ბოლი მაფალი იყო, ეს  
 იმისი მაყორი იყო!» — კურ საზანდრებს გაუმებობ-  
 რდა და იმაზედ მრავალი ფული გააფეშა, რა გა-  
 ზაფხულდა, ბალი აღარ დარჩა, რომ იქ დრო არ  
 გატარებინა: სად გაუთენდებოდა და სად დაუდამ-  
 ლებოდა, აღარ იცოდა... ამ ნაირ ცხოვრებაში გა-  
 რარა ქარგა დრო, ზედღატანებით მამიდაც მოუგ-  
 და, რომლისაც არ იყო რომ ცოტათი არ ჭიშინე-  
 ბოდა. — მაშინ უკახანების სშირი სტუმარი შეიძ-  
 ნა, მიწერ ხელი დოთობას და უამარბაზობას, მრა-  
 ვდი კადი დაიდო, მაგრამ თავისას არ იშლიდა, თუმცა  
 ფულებიც შემოაკლებოდა სოლმე. რა აშის ამიტონ-  
 ბა ლოთებმა ფულის სისურე შეატყოს დეკანს, და-  
 წეს რჩევა: «ერთი მდიდარი ჭაღა შეაირთე, თო-  
 რებ ზაფხული მოდისო და ზამთრათ არ გადაგვეჩ-

ცესო». ეს იურა ამ ღრმას კლეინის მოციქულიც მოუკიდა და რასაკვირველდა, რომ ლევან უგრის არ ეტუდა.—

ახლა იფიქრეთ, ამ ჩეკეულების პიტიონს, რა პატივის ცემა და სიყვარული ეჭნებოდა ცოლისა?.... რა გილეც იტუოდა სოლმე: «რთი ფულები ჩაგიგ-ზო სელში და რაც მე იმ ქადაგს მოუკადე გმერ-დით, მაშინ თავის გბილებს ჩაცვიკნულს დედას დააჭიდოსთა»... საკვირველიც არ არის, რომ ლე-ვან ამას იტუოდა, ამიტომ რომ ასეთი ამოცანას ხმოვნა, რომელთათვისც ქვეყანაზედ წმინდა აღარ იყორთა.— ესენი გასლდნენ: ერთი ბაჟილი, სამი მა-კიტანი, ერთი ყასაბი, ერთი მეთამბაჭოე და ოთხ-ნიც უსახლ-კართ და უსელობო გაცები, რომელთაც უწოდებენ— «პაჟარნებათ!».... ლევანს რომ ჩოციქუ-ლი მოუკიდა, მაშინვე ამ თავის ამოცანებს ასარა-და ეტუოდა: «ბიჟებო! მე ცოდი რათ მინდა, მე ფული მინდა, ფულიო!... ჩემი საცოლომც ენაცვ-ლები: ლიზას, სოფიოს, გეგელას და სხვებს, მე და თქვენ რომ ვიცითო!»..... საბრძოლო ნინომ კი არ იყოდა, რა ავაზაგს კაცის უსაროდა იმისი ფულები, რა კისი მონა უნდა შეჭმილიყო!

ახ, ნინო, ნინო! ჩემი სული სწუხს და გული  
 ისრწნება ამ სიტყის წერაში, შენის სიბრძლულით  
 და გემდური სპედიცია შენსა!...

ყემოთ გამოსატულის ხასიათების პატრონს ღე-  
 გნს, ურთი გარე თვისება ჭიდა: ნათესავების სიუ-  
 კრული და ამასთანა საკურველი ჩხვილი გული, ეტ-  
 უობოდა, რომ ჩამომავლობით გარების გვარის იურ,  
 მაგრამ პატრონი და გამზრდელი არ შესხვედოდა  
 რაგანი. ღმერთო, რამდენი ემაწვილი კრია იღუ-  
 ბება, უპატრიობით, ცუდის მაგალითით და გარ-  
 ებნილს საზოგადოებაში ყოფნით!... ღმერთმა უწ-  
 ეს, ღვევენმა ოცოდა თუ პრა, ქორწინება რა ხაი-  
 დემდოება იურ; გინაცის მოესმინა ოდესმე, რომ  
 ქორწინება იურ წმინდა საიდუმლოება, რათა არის  
 შეკროება იგთა ქრისტიან ეპიდესიასთან; ეჭვი მაჭვს  
 რომ ღვევან ამ საიდუმლოებისათვის წმინდის სინი-  
 დისთ და ქრისტიან უოფილიურ მომზადებული,  
 მაგრამ ჩვენ რაც უნდა მსჯელობაში შევიდეთ, ას  
 ხალხი თავისებურაო მომზადა საქორწილოთ,

## VII

ერთს სუთშაბათს დამეს, სადმაძიანთ სახლში დი-  
 ჩი ქორწილი იყო გაჩაღებული. უცებ რომ შეგა-  
 ხედნათ ამ სასილში, მრავალს გამსიარებულს ქადასა  
 და ჭატს ნახავდით; მეოვე და დედოფალი ერთს ტახ-  
 ტახედაესხათ, ამათ წინ პირის მეღვინეთ დაქმოქნათ  
 და იყო დიდი ფულის და ნივთების გარდალოცვა.  
 — აქ, სალხისათვის, რომ უკრია დაგეგდოთ, მრა-  
 ვალს გვარს დაპარაკს გაიგონებდით, — ზოგი მეოვეს  
 აქესდა და ზოგი დედოფალისა. მაგრამ ნინუცა გი-  
 ასე გაბრუებული და გალურჯებული იყდა, რომ ერ-  
 თმა, ამ საზოგადოებაში მუოფთაგანმა კიდეცა  
 სოჭება: «რა გწია ამ დედოფალს ელენთა ხომ არ  
 გვიმია ჰატარაობისას, რომ ასე გაშავებულა?»....  
 ამ ჭატმა ეს გი არ იცოდა, ნინოს გულში რა ვა-  
 რამდა ტრიალებდა! — მეოვე გი მაგდენს არას დაგიღვე-  
 და: წამოდგებოდა, მალ-მალ, ჩიბუს მივარდებოდა,  
 სად რას დაღვეუდა, გაუიღოდოდათ სიდას შემდება, —  
 აღარა გრევებოდარა; სოდოს მოვიდოდა ცოდნა გა-

ჩეკვევოდა და ჭრილდა მხეცური ალერსი და უზრ-  
დელი ხარ-ხარი!... რაღა განვაგრძელოთ, ნინუცა  
ცხადათ ჰქედავდა, რა გაცის სელში ჩაგარდა და რა  
მწარე დროება მოველოდა შემდეგში?... ამ ქალს ის  
უფრო ჰქელავდა ბრძოლტათ, როდესაც აღვესანდრეს მო-  
იგონებდა და თავის ფიქრში დევანს შეადარებდა!...

ამ ქარწილმაც განვლო, როგორც სხვა ქორ-  
წილებს გაუკლია: ლხინით და შემცევით. ჩაი, სა-  
ლი, საზანდრები, ლეკურის თამაშისა, შემდეგ გახ-  
შმის გათავებამდისინ ჯიხვების ტრიალი და მეო-  
რეს დღეს, საუფარულის დამამტკიცებელი ფალუ-  
რია!...

### VIII

ნინომ თავის თავი ასე რიგათ აჩქენა დევანს ნა-  
ზის ქრისთ, ტესლის სიუგარულიანის დაპარაგით  
და აღენისთ, რომ ეს მხეცი, რამდენიმე ხანს,  
თითქმის დაიმონა, მაგრამ დევანს მაღე აუსუენა  
გრძა კუთადისცხოვონთა, მოიგონა ისევ თავის  
ამფსონები და ბალებისაც გასწია, სადაც რამდენი-

მე დღე დაკრიტიკული იქნა სოლმე და ნინო კი ელო-  
და მარტი, გულ ამოსკვნილი!

ერთს დღეს ლევანი გვიან მოვიდა შინ დაზარ-  
ხოშებული. ბოდიშისა და ადერსის მაგიერათ, რად-  
გან თარი დღე შინ არა ყოფილია, ნინოს შეუ-  
ტია: «ჩემთვის რატომ ვახშემი არ შეგინახევთ!!»...  
ნინომ მიუგო: «არ ვიცოდა ბატონო, თუ ასე გვი-  
ან მოპოვებანდებოდით, თორემ უკედას შევანისვინებ-  
დით!»... აქ ლევანმა სიტუაცია გააწევეტინა ნინოს და  
შეუსხა: «მა რაღა იცი, თუ ისიცი არ გახსოვს,  
შენი ქმარი როდის მოვა შინა და მშეორია თუ  
მწერეგადაო!»... თუმცა ლევან ასე მაძღვარი იქნ-  
ა ჟურითა და ლეინითა, რომ სორაგი, თითქმის, უკა-  
ში ამოსდიოდა, მაგრამ ნინუცამ მაინც უცხო კა-  
შიმი მოუმზადებინა და მიართო. ლევან დაჭრა და  
კიდევ სარბათ დაიწყო ჭამა და ბოლოს ზედ სტო-  
ლზედ მიეძინა. ნინომ იფიქრა: «ეს უთოოთ გან-  
გები იძრევა ასე, თორემ, როგორ იქადრებს, რომ  
თავის თვალი, ასე უწევდოთ, შეამძიმოს სორაგი-  
თო!»... ნინომ ის კი არ იცოდა რომ ლევან, რა  
გარეული მუცლის პატონი იყო; ეს საძალელი  
ქმის ხასიერიც მაღვე იხილა.— ლევან უოკელოვის  
გათქნებისას მოვადოდა სოლმე შინ და ჩილის თერ-

თმეტს საათზედ გაიღვიძებდა, ერთს ორ ჩიბუსს  
მოსწევდა, შემდეგ მიართმევდნენ ჩაის, უშესებდეს  
სტაქნით, რომელშიც დაუმატებდა ხუთს ნატებს  
შაქარს, დაასხამდა რძეს და შიგ ერთს ფუნთუშა  
თეთრს ჰუთს ჩაალბობდა და ისე მიირთმევდა; ხუთ  
სტაქნის ჩაის ორმ დაჭლებდა ლეპან, თავის ათის  
ჩიბუსთ, შემდეგ ტანთ ჩაიცომდა, ერთს დაუსტ-  
ებდა, (რომელიც ჭიშნავდა: ღრუბები მოზუგანეთი),  
ჩაჭრებოდა შიგ და გასწევდა.—არა ვინ იცოდა,  
სად იყო იმას ბინა და ან როდის დაბრუნდებოდა  
შინა.—რასაკვირველია, ნინოს ამგვარი ქრის ყო-  
ვებ-შეკვებდა, ჰქლავდა, მაგრამ თავის სულ-  
გრძელობით უკედას ითმენდა!

თათონ ნინო კა დიღით ადრე აღგესოდა და  
იღოცავდა, წესებულებრივ; შემდეგ, სადიღის თადა-  
რის შისცემდა და ბოლოს, მოკლი დღე, ან წიგ-  
ნების კათსებულობდა და ან ხელ-საქმობდა. თუ ქმარი  
შინა ჰქეანდა და ემინა, ნინო ცდილობდა რომ სახ-  
ლში არავის გაეფასუნებინა, რომ ლეპანს მაღი არ შე-  
ურეოსკო და უკვდის მხრით იმის სამოკუნძულს ცდი-  
ლობდა; ნინო ჸედავდა, ბედმა რა კაცის სელშიაც  
ჩაგდო და ის კი პრ იცოდა, რა რიგათ მოკლე-  
კინებინა ქმრისთვის მრავალი ცედი ჰყენა. ჰყოფ-

რომდა, მსოდოდ, სიმშეიღით მოეტეხს იმის ბეჭ-  
რი უზნაური და ცუდი ჩეკულებანი და იურ მის-  
თვის თანა-მჯედარი. — ამასთან ნინო უთველს ქმნის  
ერთიანობას ადასრულებდა იმ განძრახვით, ეგება  
ამით მოვიყენოთ; გარდა ამისა, თუმცა ნინო იჭი-  
ნებული იყო, რომ ლეგან კასმათ ძვირათ მოვიდო-  
და შინ, მაგრამ, მაინც მოუცდიდა ხოლმე იმას,  
რასაკვირველია, ელენე ნინოს დედა, კასმას აღრე  
მოართმევდა და მოისცენებდა ხოლმე, ის გი არ იცო-  
და, ან სიძე როდის მოდის შინ და ან ნინო რო-  
დისა წება. — ნინო კი იჯდა და ელოდა ლეგანს;  
ამ ლოდინში, რა თვალი და გული გადუღამდებო-  
და, კასმამიც აღარ იამებოდა ხოლმე და ისე უნდა  
დაწილილიყო. ერთსედ ნინომ, ამ გვარს ლოდინ-  
ში, დიდხანს წიგნი იკითხა და ამ კითხვაში ძალიან  
დაიღია. ცისკონები დარებეს, კერძ გაიგროს, მდა-  
კანზე მიებინა და მზემ რომ თვეი ამოუკო, მაშინ  
თვედი გაახილა, ნასა რომ სანთელი ძლიერსდა პეტ-  
რია, კასმამი ისევ ისე იურ გაშლილი და ლეგან  
კი არსება ჭიშნება... მაშინ, გულმრევისნერასთ და  
მწარის ლიმილით წარმოასთევა: «დასკე, გათენდა და  
ჩემი ქმნი კი არსად არისო.... განა ჩემი დღენი,  
ამ სამოვნებით უნდა გავატარევა?!»...

მშეგნიერი ნინასთვის ორმ შაგებედნათ, მიღე-  
ულს მთვარესა ჭრგანდა და იმის დოკუმენტები ვარდი  
აღარა ჰქონავთდა.

ერთს დღეს, სადამოსანზედ, დეკან მთვარედი მთვიდა  
შინა, თავის ამფისონებით და ნინოს უთხრა: სტუმ-  
რები მომიღვანია, მშიგრები გასოდებით, ჩქარა სადა-  
დი გვაჩვენეთ და შენც ჩვენთან შეეძინოთ... ნი-  
ნომ უჩასულს: «დადგოდებილო, რაღა დროს სადიდაა  
და თუ სტუმრები გვავდათ მოწყეული, რატომ დი-  
დას არ მიბრძანეთ?»... ლევანმა: «განა არ იცი მე  
დაცას ძინ არ კუთხილევარ, კს ხამი დღეა თრთა-  
ჭალას საქმე მქონდა, იქ კიყავით... მეოცე, რა გვიანი  
არის, — უკვედი დიდი გაცი სადამოზედ მიირთმევს  
სადიდასათ... ნინო ძედიან შეწუსდა, ასე უცია სტუმ-  
რების მოწყევას და გვონას, ბლობა მართებული ხალ-  
ხი იქნებათ; ის კი არ იცოდა, ლევანს კინ მოკვე-  
ნა სტუმრათ: ესენი იუნინ ისევ ის შაქარნები, რომ-  
ლებიც ჩვენ ზეპიოთ ჩამოვთვალეთ. რა ნინომ კს  
სადა დაინახა, მეტის მწესარებით თვალით დაუბ-  
ნებდა და წარმოედას დამოდა, მაგრამ ქმრისთვის  
უარი კურ ეთქო შიშითა და კრძალვითა; მხოლოდ  
ამას კვადრებადა დმიერთსა, ამ დროს, უწილ, არა-  
კინ შემოგვესწრასო და კს ხალხი ჩემს სიხლი არა  
სახონო!...

ლეგანტია, თავის ამსთნებათ, შეს დამემდის იღოთქეს, მრავალი ჭურჭელი და სკამები დაღეწეს, შეძეგ ადგნენ და ერთობ, საზანდრებით, ბალისაკენ გასწიეს!!.

რა ბაღში მივიღნენ, იქ სედ ახლათ ვახშამი გაჩანალებ და შექნეს სმეულობა.—დოფები იმნოეს ეცადნენ, რომ ლეგან დაათვრეს, ასე რომ იქ უგონი შექმნილს დაეძინა; მაშინ, რაც ფული ჭირნდა, კიბეში ამოაცალეს, თითონ კი აქეთ-იქით წავიდნენ, წამოვადნენ და იმას იქ დაანებეს თავი, მძინარეს და უპატრონოთ, ერთის სის ძირას... რა განთიადმა მოატანა, ლეგანს გამოუღვიძა და რომ ნახა გვერდით აზარავინა ჭიავს, წარმოასონა: «დასკი ის პლუტონი, რა თინს მოვიდნენო და ახდა უჩდა დამცირონო: ლეგან დავათრეთო... ამ სიტუაციდ უკარგებ წარმოდგა, მაგრამ ბარბაცი დაიწერ, რადგან თავი ასტრიგნოდა და გიდევ დვინო არ გამოტენებულდა. ამ მდგრადისარებაში, როგორც იყო, ჰკუვითი წამოვადა კრისისიდან და რა აბანოებითინ მოვიდა, აშე კრის მეგობარს მეაბანოვესთან შეკიდა, ჩიბები მოითხოვა, შემდევ იბანა და რა უნდოდა ფული მარცა, ნახა რომ ჭიბეში გროში აღარა აქვს; მაშინა სოჭება: «რაჭენა რცი თუმანი ფული მჭირნდა და სერ

საზანდრებისთვის მიმიწიათ?... მეტანოგემ მოახ-  
სება: «თქვენზედ გახდედს აბანთს ფულით, უძღვებ  
მიმომექოთ». ჯე ლევან დროშები ჩავდა და მინ  
მოვადა, იმ დროს, რომ ნინოსაც ის იყო მდივან-  
ზედ მისმანებოდა ქმრის დოდინში და ვახშამი ისევ  
ისე იყო გამდიდრი. რა ლევანმა სული დაინიხა  
გამდიდრი, შესძიხა: «ეს მიუკარს შენი, ნინო, რომ  
ქმრის პატივი იციო!... შემშალითა კკკლიმი, შემი-  
რალეთი!... იმ უკირიდზედ, ნინომ უციბ თვალი  
გაასილა, შეკრთა და ქმრი რომ დაინიხა, გაუდიმი-  
ლა, შემდებ ჩამოადგა, მივიდა გადასხირა ლევანს და  
უთხოა: «თუ უკრია გმირი, მაიმოვა». — ლევანმა ნი-  
ნოს სედი წაჲერა, წაბიარდაცა და შეუყვირა: «მურა  
ქამის, რა შენ დაგეპიოთხებოთ?!»... ამ სიტუაცია  
შემდეგ მივიდა სულიასთან და სარბათ ჭამა დაუწ-  
ერ სორიგს. ნინოს აღაგას, სხვა ქლირ რომ უთ-  
ხოვთაურ, ამ გმრის, ქმრის აღარსზედ, ან გუდი  
შემოუწერდა, ან იტრეუბდა და ან კროს შეფრის  
ჩამოაგდებდ, მაგრამ, ნინომ, კიდევ ტრიდის და-  
